თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4968013

ნომერი: AR1747682

თარიღი : 08.05.2020

გაცემის თარიღი : 01.06.2020

გაცნობის თარიღი : 01.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 08 მაისს №AR1747682 განცხადებით მომართა გიორგი ბენდელიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 13

იანვრის №4817716 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, ნარიმანოვის ქუჩა №12-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №15-ში, №01.18.01.002.210 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №1-2-3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4843854 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 თებერვლიდან 2021 წლის 03 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 09 მარტის №4889026 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული I ბლოკის +18.90 და +22.05 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2020 წლის 25 თებერვლის №AR1736612 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობად 1412.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1713.8 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 1978.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1977.6 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 17568.8 კვ.მ-ის ნაცვლად 17869.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 17869.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1713.8 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 1977.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 იანვრის №4817716 და 2020 წლის 09 მარტის №4889026 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.